

ოლიმპიადა მშობლიურ ენაში

I ტური მე-9 კლასი

I სავარჯიშო: კუმშვად და უკუმშველ სახელთა ბრუნება. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

1. რას ეწოდება ფუძის კუმშვა?

- ა) ფუძეში ახალი თანხმოვნის გაჩენას; ბ) ფუძიდან ხმოვნის ამოვარდნას; გ) ერთ-ერთი ფუძისეული ხმოვნის დისიმილაციას;

2. ჩამოთვლილთაგან კუმშვისას რომელი სახელის ფუძიდან ამოვარდება „ო“ ხმოვანი?

- ა) ღვინო; ბ) წყარო; გ) მინდორი;

3. შემოხაზეთ მართებული ფორმა.

- ა) ტაძარის; ბ) ტაძართ; გ) ტაძრის;

4. რომელია თანხმოვანფუძიანი სახელი?

- ა) ხე; ბ) კიბე; გ) თოვლი;

5. რომელ წინადადებაში არ არის დაშვებული შეცდომა?

- ა) აკვანის რწვეით ხელი დაეღალა ნანოს. ბ) ნეკერჩხლის ყვაველი ლამაზია. გ) ობოლის კვერი გამოცხვა.

II სავარჯიშო: რიცხვითი სახელის რაობა და მართლწერა. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

6. რას აღნიშნავს რიცხვითი სახელი?

- ა) მხოლოდ საგნის რაოდენობას; ბ) მხოლოდ საგნის რიგს;
გ) საგნის რაოდენობას, რიგს, ნაწილს;

7. რომელია წილობითი რიცხვითი სახელი?

- ა) მესამედი; ბ) ასი; გ) მეასე;

8. როგორ იწარმოება რიგობითი რიცხვითი სახელი?

- ა) რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძეზე „ე“ სუფიქსის დართვით;
ბ) რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძეზე „მე-ე“ პრეფიქს-სუფიქსის დართვით; გ) წილობით რიცხვითი სახელზე „ე“ სუფიქსის დართვით;

9. რომელია სწორი ფორმა?

- ა) სამოცდა თერთმეტი; ბ) სამოცდა- თერთმეტი; გ) სამოცდათერთმეტი;

10. რომელია რიგობითი რიცხვითი სახელის სწორი ფორმა?

- ა) მე-X; ბ) X; გ) მე-X-ე;

სავარჯიშო ალტასგან. გისურვებთ წარმატებებს!

III სავარჯიშო: კომპოზიტების ანუ რთული სიტყვების მართლწერა. შემოხაზეთ სწორი პასუხი. (10 ქულა)

11. შემოხაზეთ მართებული ფორმა.

- ა) ნარ-ნარა; ბ) ნარნარა; გ) ნარ-ნა-რა;

12. რომელია ფუძეგაორკეცებული კომპოზიტი?

- ა) წვერ-ულვაში; ბ) რაკრაკი; გ) კვლევა-ძიება;

13. ჩამოთვლილთაგან რომელია მცდარი ფორმა?

- ა) ნელნელა; ბ) განდაგან; გ) ლანალუნ;

14. ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი ფორმა?

- ა) გულ-მოსული; ბ) მრავალჟამიერი; გ) დედა-მინა;

15. ჩამოთვლილთაგან რომელია მცდარი ფორმა?

- ა) ეზოეზო; ბ) ფარ-ხმალი; გ) ცოლ-ქმარი;

IV სავარჯიშო: გრამატიკული დროის რაობა. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (15 ქულა)

16. რას ეწოდება დრო?

- ა) ზმნის ფორმას, რომელიც გვიჩვენებს, თუ როდის ხდება მოქმედება: თქმამდე, თქმის დროს, თუ თქმის შემდეგ;
ბ) ზმნის ფორმას, რომელიც მხოლოდ ზმნის დასრულებულ მოქმედებას გამოხატავს;
გ) ზმნის ფორმას, რომელიც მხოლოდ ზმნის დაუსრულებულ მოქმედებას გამოხატავს;

